



#2015-03/ 65

23 მარტი 2014

თბილისი, საქართველო

სსიპ კონკურენციისა და სახელმწიფო
შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარეს
ბატონ ლევან რაზმაძეს

ბატონო ლევან,

2013 წლის 26 ივლისს აშშ-ის ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციასა ("Millennium Challenge Corporation- MCC") და საქართველოს მთავრობას შორის ხელი მოეწერა მეორე კომპაქტს (the "Compact"), რომლის მიზანია საქართველოში სიღარიბის დაძლევა და ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა ზოგადი, ტექნიკური, პროფესიული და უმაღლესი განათლების ხარისხის განვითარების მეშვეობით. ამ ხელშეკრულების ფარგლებში, საქართველოს მთავრობა, ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს ("MCA-Georgia") მეშვეობით, ახორციელებს შესყიდვებს აშშ-ის ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის მიერ დადგენილი შესყიდვების პროცედურებით.

გთხოვთ, მოგვცეთ შესაძლებლობა თქვენს ვებ გვერდზე („შესყიდვები დონორის სახსრებით“ ველში) განვათავსოთ განაცხადი ჩვენი შესყიდვების შესახებ - 2015 წლის სარეაბილიტაციო სეზონისთვის შერჩეული სკოლების შენობა-ნაგებობების გეო-ტექნიკური და სტრუქტურული გამოკვლევების სამუშაოების ჩატარება.

პატივისცემით,

მაგდა მალრაძე

აღმასრულებელი დირექტორი